F25/2
1907

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11

№ 18 1883—1907 წ. 30 სექტემბერი

საქართველოს სამღვდელოების მიმართ

პატივცემული მწერალი ნ. თ. „მწყემსი"-ს მე № 7 სათაურის „ჩვენი საეკკლესიო საკითხის გამო" არჩევს რა დეკ.-პროტ. ტიტოვის წერილს, რომელიც ბოლოვდება ამ გვარად: „ყოველ შემთხვევაში, საკითხი საქართველოს ავტოკეფალობისა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მომავალ სრულიად რუსეთის ადგილობრივ კრებაზედ,—იძლევა კითხვას—გაიგზავნონ ჩვენი წარმომადგენელნი იმ კრებაზე თუ არა?—და თვითონვე იძლევა პასუხს: „ჩვენ საქმე არა გვაქვს რუსეთის ეკკლესიასთან,—მაშასადამე არც უნდა ვინმე გაიგზავნოს. დასკვნა ცხადია.

გაუკადნიერდები პატივცემულს მწერალს, რომ ეს დიდი შეცდომაა და დიდს ზარალსაც გვიქადის. კმარა ჩვენთვის მთელი საუკუნის ძილი, დრო არის გამოვიფშვნიტოთ თვალები, გამოვიხედოთ ჩვენის ბუნაგიდან, შევხედოთ დღის სინათლეს. არავის არ მისცემს ამ დროს კეთილს კარჩაკეტილი განცალკევებული (ИЗОЛИРОВАННОСТЬ) ცხოვრება და მოქმედება. აღარც დრო არის მივდიოთ სირაქლემას პოლიტიკას, თავი ჯაგში ჩავყოთ, საფრთხე თავს გადაგვიელის და გამარჯვება თვითონ მოვაო. ასეთი გამარჯვება არის ნაყოფი ხანგრძლივის, წინ დახედულის ერთ-სულოვან მოქმედებისა. ჩვენც ამ ჟამად უნდა შევუდგეთ მოქმედებას და გამარჯვება შემდეგში გვეღირსება. ჩვენ რომ არ დავესწროთ რუსეთის ადგილობრივ საეკკლესიო კრებას ამით რას მოვიგებთ?—სრულიად არასფერს.—წაგებით კი ბევრს წავაგებთ. აი როგორ? თუ მაშინ, როდესაც ჩვენი წარმომადგენლები იყვნენ წინასწარ კრებაზედ, არ დაირცხვინეს და ყოველი სიმყრალე წამოანთხიეს სტ—ნე—გოსტ—მა, მაშინ, როცა ჩვენგანს არავის დაინახავენ, ხომ სულ უწმინდურობით აგვივსებენ უბე-კალთას და თავზედაც ლაფს დაგვასხამენ. მაგალითი წინ გვიდევს: უკანასკნელს კრებაზედ, როგორც თქვენ ამბობთ, რომ აღარავინ ნახეს მოპირდაპირედ, აღვირი აიხსნეს და გაცეცხლებული გული კარგად იჯერეს ჩვენზედ, კრებაც ერწმუნა მათ და მიიღო ვოს—ვის ფურნეში გამომცხვარი პროექტით რეცეპტი საქართველოს ეკკლესიის ჩახრჩობისა. მაშასადამე რას უნდა მოველოდეთ მომავალს კრებაზედ იმავე პირთაგან, როცა ჩვენგანს ის აღარავის დაინახავს? თქვენ ურჩევთ საქართველოს სამღვდელოებას სულაც ნუ გამოვცხადდებით იმ კრებაზედო. ამით ნუ მივეცემით ხელში კანონისტებს—დააკანონონ ჩვენი ეკკლესიის გაუქმება. შიში არ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა,—უთქვამს ჩვენს დიდს მოძღვარს—შოთას. ან კი მგლის შიშით, ცხვარი ვის გაუწყვეტია.—ჩვენ, როდესაც ვიცით, რომ ჯოჯოხეთი პირ დაღრენილი შეეტევება ჩვენს ეკკლესიას ჩასანთქმელად, ჩვენ უკან კი არ უნდა შევდრკეთ. არა, მას უნდა მახვილითა და წათებით მივეტევნეთ და თუნდ კიდეც მუცელში ჩაედოს, განუპოთ იგი და ცოცხალი გადმოვაგდებინოთ. რა სახეში მოსატანია ვილაც ვოს—ვის, ბრილიანტოვის და ალმაზოვის ნაგვის გოდრებით გამოსვლა ჩვენს საბრძოლველად, სადაც სიმართლე კაცისა და ღვთის ჩვენ წინ მიგვიძღვის? ან იქნება იმისი შიში შეგვეპარათ გულში, რომ ჩვენ ცოტანი ვიქნებით და ისინი ბევრნი? მაშ ზნეობითს ძალას, მამულის სიყვარულს, სჯულის სიტყვებს—მტკიცედ სდეგით მამა პაპათა ანდერძზედ—ფასი დაეკარგა? მაშ როგორ მოხდა, რომ პატარა იაპონიამ ურიცხვი ურდოები კუროპატკინისა არიე-და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია და სრულიად მტვრად აქცია? მაშ რისგან არის, რომ პატარა ფრინველი შავარდენი, როცა შეიკუმშება და ზევიდამ დაუტევს ხოლმე წეროებს და სავათეებს, ქრიამულს აუტეხავს და პანტა-პუნტით ძირსა ჰყრის? საქმე სულის სიმტკიცეა და მედგრობა. და ჩვენც ეს უნდა გამოვიჩინოთ მომავალს კრებაზედ. არამც თუ კრებიდან გავიდეთ, გარეთ რომ ვიყვნეთ. შიგ უნდა შევცვივდეთ, იქ უნდა ავანთოთ გაუნელებელი ცეცხლი და პასუხი გავსცეთ ვისაც კი ჩვენს მოწინააღმდეგეს დავინახავთ. უნდა ვიყვიროთ, რომ გავაგონოთ. ჩურჩული აკრძალულია, და მასთან უსარგებლოა. ქრისტემ სთქვა—ირეკდეთ და განგეღოთო, იძახდეთ და გისმინონო, ითხოვდეთ და მოგეცეთო. ჩვენც მოვითხოვოთ მტკიცეთ, ხომ იცით თუ სარწმუნოება გექნებათო, მთაც-კი თქვენს სიტყვას დამორჩილდება, როდესაც შესძახებთო—მთაო, აღიფხვარ და წყალში ჩავარდიო.! რას მიქვიან გაბუტვა და შინ ჯდომა? ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა? ვინ მოიშორა თავიდამ ჭირი?—ამბობს პოეტი. შინ ჯდომა ხვედრია ჯაბანთა და მოუმზადებელთა. ვისაც-კი სცხია პოლიტიკური მოსაზრების ნიჭი, ის არაოდეს, როცა დიდი საპოლიტიკო საკითხი სწყდება, არ მიმართავს სუსტებთა საშუალებას და შინ არ დარჩება. იმან იცის, რომ ყოველი მისი ხმის ამოუღებლობა მტერს ახარებს და ძალას ჰმატებს.

ჩვენ რა გვჭირია?—ერთად შეყრა, ერთად მოლაპარაკება, ერთად გამტკიცება, შედუღება და შექმნა იმ პატარა დამცველ რაზმისა, რომელსაც, როგორც გრდემლს, შეელეწება ყოველი ჩვენსკენ მოქნეული ხმალი. ჩვენ უნდა ეს კრება უსათუოდ მოვახდინოთ სადაც იქმნება—ტფილისში თუ ქუთაისში, იქ უნდა უკანასკნელად შევეფიცნეთ ერთურთს, რომ სიკვდილის მეტი ვერა დაგვარღვევს-რა და ყოველი ჩვენგანი რითაც კი შესაძლო იქმნება დაეხმარება ამ წმიდა საქმეს. ასე სწარმოებს ყოველი საერო და სასულიერო საქმე. უთუოდ წინადვე სდგება ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას თავისი კასსაც აქვს. უამისოდ უძლურია და უნაყოფოა ორგანიზაციის მოქმედება. ჩვენც უნდა შევქმნათ ეს ორგანიზაცია. უნდა ამას საშუალებაც აღმოუჩინოთ. ამ ორგანიზაციამ, რომელსაც ერქმევა „ძმობა საქართველოს ეკკლესიის განთავისუფლებისა უნდა თავს ვალად იდვას;, 1 ყოველისფერი მასალა შეჰკრიბოს საქმის შესახებ. 2 იქონიოს მიწერ-მოწერა შიგნით და სამზღვარ გარეთ; 3, მიიღოს შრომა, რომ პრესსამ ხელი აიღოს ჭორების გავრცელებაზედ ხალხშიდ ჩვენს ეკკლესიაზედ და წარმომადგენლებზედ ნამდვილი შეხედულება მისცეს თავის მკითხველებს—თუ რა არის საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალია; დაარწმუნოს კიდეც, რომ იგი არის ჩვენი ხალხის სულის დახსნა ტყვეობიდამ; 4, იქონიოს მსჯელობა, თუ ვინ უნდა იქმნენ ჩვენ წარმომადგენლებად გაგზავნილნი და ვინ არა; 5, რა გზით დავიცვათ საქმე და რა ტაქტიკას დავადგეთ და 6, თუ გაწყრა ღმერთი, კრებამ გულქვაობა გამოიჩინა და საქმე გადაგვიბრუნდა, ვის მივმართოთ საშველად და რა გზას დავადგეთ.

ყველა ბრძოლაში—ფიზიკურ და გონივრულ გარდა იდეისა, აქვს უაღრესი მნიშვნელობა ტაქტიკას. დღეს განცალკევებითი ტაქტიკა ყოველგან უარყოფილია. და არც საკმარისია საქმის მოსაგებად პარტიის კერძოდ მოქმედება. ერთი გამოჩენილი გერმანიის მწერალი ამბობს: რომ ვიცოდე მუშათა საკითხს წინ წამოსწევდა და გერმანიის სახელმწიფოს დემოკრატიზაციის გზაზედ დააყენებდა, ერთს წამსაც არ შევფიქრიანდებოდი და ჯოჯოხეთის ტარტაროზთან კავშირს შევკრავდიო." ჩვენ ტარტაროზები ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ მომავალ კრებაზედ კი კარგად შეგვიძლიან მხარი მივცეთ იმ რუსეთის ეკკლესიის წარმომადგენლებს, რომლებიც არიან გამსჭვალულნი ძირიან ფესვიანად მოსთხარონ ბიუროკრატიული დაწესებულება დამის ბადლად დაამყარონ ახალი წეს-წყობილება რუსეთის ეკკლესიაში. ჩვენ უნდა მივმართოთ ყოველს კომბინაციას, რომელიც-კი დაასუსტებს რეაქციონურს ელემენტებს რუსეთის ეკკლესიისას. რომ იტყვით ნუ წავავალთო, რატომ? განა იქ მარტო ჩვენ ვიქმნებით და ტიტოვ-ბრილიანტოვები? არა, ეს საეკკლესიო კრება გამოწვეულა სინოდის უნებურად იმ პირთაგან, ვინც ბრალს სდებს სინოდს რუსეთის ეკკლესიის განხრწნაში. იქ თუ იქნებიან კანონისტები ბერდნიკოვ-ბუდკევიჩები და ჩვენგან ცნობილ იქვე იქნებიან მმ. პეტროვები, ტიხვინსკები, მარრები და სხვები მათის გვარისანი. იქ იქნებიან აუცადია, როგორც მომხრენი აწონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელის წეს-წყობილებისა, ისე, მოწინააღმდეგენი. ჩვენ სრული უფლება გვექნება ვის დაუჭიროთ მხარი. ჩვენ დაუდგებით გვერდით მემარცხენეთ და ვეტყვით: იქნება ჩვენსა და თქვენს შორის არის ბევრი რამ განსხვავება მოთხოვნილებაში, მაგრამ ამ კითხვებში, რომლებიც თქვენ წინააღმდეგ არ არიან ჩვენგნით წამოყენებულნი, ჩვენ უნდა მხარი დაგვიჭიროთ და ჩვენც ერთს სიტყვასაც არ დავძრავთ თქვენს წინააღმდეგ, სამაგიეროდ კიდევაც კენჭს მოგცემთ გასამარჯვებლად. როგორ გგონიათ, დაგვთანხმდებიან თუ არა? და ეს ჩვენ საქმეს წინ წასწევს თუ არა? ვგონებ, რომ მაშინ საეკვო შეიქნება, ვისკენ გადაიხრება სასწორი, ჩვენკენ თუ არა ჩვენკენ. ყოველთვის კაცი ორ ცალცხლ შუა თუ მოჰყვა, მაშინვე იქით გეექანება, საითაც სუსტათ ენთება. როცა ორ პარტიას შორის მოჰყვები, აუცილებელია ხელს გაუწვდი იმას, რომელიც პოლიტიკურის აზრებით შენთან ახლოს სდგას. მაგ. რადიკალი—კადეტს ოქტომბრისტი—მონარხისტს. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ მომავალს რუსეთის საეკლესიო კრებაზედ. ჩვენ უნდა კავშირი შეეკრათ რუსეთის საეკლესიო ოპოზიციასთან და ეს უეჭველად ნახევარ ძალღონესშეგვძლებნის, ნახევარიც ჩვენი მეცადინეობა მიუმატოთ და მტერი ძლეული იქმნება. თვით ჩვენის დახმარებით ახალის რეჟიმის დადგენა რუსეთის ეკლესიაში დიდად ხელს შეუწყობს ჩვენის ეკლესიის განთავისუფლებას. მაშინ კი, რომ არ დევესწროთ, შესაძლოა ახალთაობამ ვერც გაიმარჯვოს, სიმცირით, და თუნდ გაიმარჯვოს, გვითხრას,—სად იყავით, როცა ვიბრძოდითო, რომ ეხლა ქადაგნაზუქი მოგვართოთო. თანაც რას უშლის ჩვენი კრებაზედ დასწრება ჩვენს დედა-აზრს? საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, ხომ კარგი, არა და სხვა რა გზა გვაქს თუ არ მსოფლიო კრება, რომლისთვისაც უნდა ყოველი ღონე ვიღონოთ, ან და უნდა რომის კათოლიკეთა ეკლესიასთან. ვის შეუძლიან ჩვენ რწმენას და სინდისს შეეხოს, წავიდნენ დღენი აღამაჰმად-ხანისა და მტარვალობისა.

მოკლედ ვიმეორებ: დღეს აღარავისთვის დაფარული აღარ არის, რომ უწმ. სინოდი გამსჭვალულია იმ ლტოლვილებით, რომ საქართველოს ეკლესია მოკლებული იქნეს იმ თავისუფლებას, რომელიც მას წაერთვა ასე უკანონოდ და უაჯაოდ. ამისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ წინ-და-წინვე მზათ ვიქნებით... ჩვენ პასსიური გაჩერება არ გამოგვადგება. ჩვენ უნდა რუსეთის საეკლესიო ახალ მაძრაობაში ჩავებათ... ნურავინ იტყვის: მოვიცადოთ კიდევაო. რაღას უნდა უყუროთ, ყველანი ვხედავთ, რომ მთელი საუკუნეა ეკლესია იხრწნება, ირღვევა, ჭერება და თან მიყავს ხალხიც; რაღას უნდა ველოდეთ, როცა ჩვენ ყოველი ღირსება აგვხადეს რუსეთის ეკლესიის მტრებმა, როცა ჩვენისავე ქონით თავლებსა გწვავენ და გვეუბნებიან—ჭკვიანათ ეყარენითო. დღეს სინოდს დაუმტკიცოთ რომ დამცველები ჰყვანან, სამკვიდროთ გადმოცემულს მამაპაპათა ანდერძს მსხვერპლად შეეწირნენ მამულსა და ეკლესიას დაუმტკიცოთ უკანასკნელად, რომ საქართველოს ეკლესია არის ურღვეველი კლდე და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერა სძლევენ. ჩვენ არაფერი არ გვიშველის. ის აზრი რომ ჩვენ სუსტნი ვართ, მტერი კი ძლიერია და ამიტომ ვერას გავხდებითო, შესაწყნარებელი არ არის. თუ მტერი ძლიერია, ეგ ჩვენი ბრალია. თუ გვჯაბნის, ეგ ჩვენი სიზანტის ბრალია. ამ შემთხვევაში საჭიროა წინ-დახედული შრომა და ჯაფა და მაშინ ყოველი დაბრკოლება დაძლეულია. ერთიც. ჩვენ ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების იდეა ხალხს უნდა შევაგნებინოთ, უნდა შევახორცესისხლოთ, ისე როგორც ეს სომხობამ და მაჰმადიანობამ მოიმოქმედა, მაშინ ძალა გაორკეცდება. ამისთვისაც საჭიროა, რომ იგი (ეკლესია) და მისი წარმომადგენლები გავწიდოთ ყოველის მწიკვლოვანებისაგან, რაიცა შეუძენია ამ ასის წლის განმავლობაში და ხალხს წარუდგინოთ, როგორც „ნათელი ტეშმარიტი“. ხალხი მაშინ ჩვენს ეკლესიაში იცნობს თავის სულს და მისს დასაცველად ახლაც კვლავინდებურად სიცოცხლეს გასწირავს.

ასე საქართველოს ღირსნო მამანო!

დღეს, დაობლებული საქართველოს ეკლესია შემოჰღაღადებს თქვენს სპეტაკს სახეს და მსხვერპლის შემწირველს მარჯვენას.

დღეს უკანასკნელად აღბორგებულია ჯოჯოხეთი მის საუკუნოდ ჩასანთქმელად. ისწრაფეთ კეთილნო მსახურნო მის აღსადგენად!

შდგ. იოანე ხატიაშვილი.

ახალი აღთქმის საძღვთო წერილი და კომუნიზმი.

გაჩნდნენ ჩვენს დროში კაცები, რომლებიც ქადაგებენ, ვითომც ყოველივე უფლება ქონებით არის ქურდობა. ამიტომ ყოველი ქონება მემკვიდრეობით მიღებული, თუ შეძენილი თვისი შრომით უნდა განაწილებულ იქმნას. მაგრამ, რადგანაც ყველა არ დათანხმდება, რომ მისი ქონება სხვასაც გაუნაწილონ, ამიტომ იგი ძალით უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეს და დაურიგდეს, ვისაც ცოტა აქვთ ან სულ არა აქვთ-რა.

ესეთი სიმართლის მოყვარე პირები საზოგადოდ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ დაბადებას. მაგრამ ქონების ძალით გაყოფა-განაწილების შესახებ ლაპარაკის დროს კი ნამეტანი დაჟინებით გაიძახიან, რომ მათი მოძღვრება ქონებათა განაწილების, ანუ კომუნიზმის შესახებ სავსებით ეთანხმება ახალი აღთქმის საღვთო წერილს.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ საღვთო წერილის ის ადგილები, რომლებიც ეხება ქონებრივს უფლებას.

კომუნისტები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ იერუსალიმის ეკლესიის წევრთა ყოფა-ცხოვრებას, რომელიც აღწერილია საღვთო წერილის წიგნში „საქმე მოციქულთა“. ვიდრე ამ ადგილების განხილვას შეუდგებოდეთ საჭიროა ვივარაუდოთ, როგორი იქნებოდა ქონებით სარგებლობა იერუსალიმის ეკლესიაში. იერუსალიმის ეკლესიაში, შესაძლებელია, ყოფილიყო ორ გვარი სახე ქონებით საზოგადო სარგებლობისა, ის ან ძალდატანებითი, ე. ი. შევიღოდა თუ არა ახალი წევრი ქრისტიანეთა საზოგადოებაში, აუცილებლად ვალდებული იყო ის შეეწირნა საზოგადოებისთვის მთლად თავისი ქონება ან მხოლოდ ნაწილი მისი; მოციქულები კი გაანაწილებდნენ ამ შეწირულებას საზოგადოების წევრთა შორის; 2) ან ნებაყოფლობითი, ე. ი. ოვითვეული ახალი წევრი, თანახმად თვისი თავისუფალი სურვილისა, ძალდაუტანებლად შესწირავდა საზოგადოებას ან მთლად თავის ქონებას, ან მის ნაწილს, ან კიდევ დრო გამოშვებით შეჰქონდა სასარგებლოდ საზოგადოებისა, რაც სურდა; ხოლო მოციქულები ანაწილებდნენ ამ შესაწირავს საზოგადო საჭიროების დაგვარად.

მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ არც ერთი ზემო აღნიშნული სახე ქონებით სარგებლობისა არ იქნებოდა იერუსალიმის ეკლესიაში. ამ ეკლესიას მუდამ ემატებოდნენ ახალ-ახალი წევრები ასობით და ათასობით ერთბაშად. მოციქულები მარტო ქონების ჩამორთმევა-განაწილებას მოუნდებოდნენ, სხვა საქმე კი უნდა დაეტოვებინათ. ეს შრომა მოციქულებისა ორკეცდებოდა კიდევ მითი, რომ შემოერთებულ წევრთა შორის ღარიბებიც ბევრნი იქნებოდნენ; ამისათვის საჭირო იყო ერთხელ განაწილებული ქონების მეორეთ და მესამეთ, ანუ დაუსრულებლად განაწილება, რადგანაც ქონებრივ თანასწორობის პრინციპის დასაცველად, საჭირო იყო ღარიბთაც მისცემოდათ წილი. ამ რიგად მოციქულებს თავს დაეწვებოდათ დიდი დაუსრულებელი საქმე ქონებათა გაყოფა-განაწილებისა!

მაგრამ, როგორც დავინახავთ ქვევით, იერუსალიმის ეკლესიაში არა ყოფილა-რა მსგავსი ზემონაჩვენები ქონებათა ურთიერთობისა.

„ჰრაფენ იფო ნაკლულევან მათ შორის“ (საქ. მოც. 4, 34). იერუსალიმის ეკლესიაში რომ ქონებრივი თანასწორობა ყოფილიყო, მაშინ რაღა საჭიროა ლაპარაკი იმაზე რომ ნაკლულევანი, ე. ი. გაჭირებულნი არ იყვნენო. რატომ არ იყვნენ გაჭირებულნი ეს ახსნილია შემდეგი სიტყვებით: „რომელნი იგი ბოგნაერ იყენეს სახლებისა, ანა ბაბებისა, განჰყიდდეს და მოაქვნდა სასყიდელი განყიდულთა მათ, და დასდებდეს ფერსთა თანა მოციქულთასა, და მიეცემოდა კაცად კაცადსა, რაცა ვის უბრდა“. უკანასკნელი სიტყვები ცხად ყოფენ ქონებრივს უთანასწორობას იერუსალიმის ეკლესიის წევრთა შორის; თუ ქონება თანაბრად ჰქონდათ განაწილებული ყველას, მაშინ ყველანი ერთნაირად მდიდრები იქნებოდნენ და რაღა საჭიროა ლაპარაკი რომელიმე წევრის ნაკლებობის შესახებ? აქვე მოვიყვანოთ 6, 1. ამ მუხლში მოთხრობილია, რომ ბერძნები ემდუროდნენ ებრაელებს იმაზე რომ მათ ქვრივებს აკლებდნენ ყოველ დღე სარჩოს. ყოველ დღე სარჩოს ძღევა უეჭველია იმისთანა საზოგადოებაშია საჭირო, სადაც ქონებრივი უთანასწორობაა.

ამავე წიგნში 5, 1—11 მოთხრობილია, რომ ვინმე ანანიამ გაყიდა თავისი დაბა და მოციქულებს მიართვა მხოლოდ ერთი ნაწილი აღებული ფულისა, დანარჩენი დამალა. პეტრე მოციქულმა უთხრა მას: „ანანია, რასთვის ადგსო გული შენი ეშმაკმან ტრუბად

სულისა წმიდისა და გამოხვეებად სასუდიდისა მას დაბისასა... არა ეტრეე შენ კეტთა, არამედ ღმერთსა". პეტრე მოციქული გაუწყრა ანანიას სიცრუვისათვის და არა მისთვის, რომ მან მხოლოდ ნაწილი მიართვა მოციქულებს აღებული ფულიდან. ეს სჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „ანუ არა იყო-რა შენი იყო და განრასუედ ხელმწიფებასსა შენსა იყოს? და რასათვის დაიდე საქმე ესე გულსა შენსა? არა ეტრეე შენ კეტთა, არამედ ღმერთსა". აქ სიცხადით სჩანს, რომ ანანიას სრული უფლება ჰქონდა სურვილისაებრ მოეხმარნა გაყიდვიდან აღებული ფული, როგორც საკუთრება; შეეძლო სრულიად შეეწირნა საზოგადოებისთვის, შეეძლო მხოლოდ ერთი ნაწილი მიეცა; მაგრამ ყოველივე ეს ენდა მოემოქმედნა პატიოსნებით და გულახდილად. აი სწორედ ამ პატიოსნების დარღვევისათვის, რასაც შეეძლო ცუდი გავლენა ჰქონებოდა სხვებზედ, დაისაჯნენ ანანია და ცოლი მისი საფირა. —აქედან ცხადად სჩანს, რომ იერუსალიმის ეკლესიაში ქონებათა შესახებ არ იყო არც ძალდატანება, არც აუცილებლობა ქონების შეწირვაში საზოგადოების სასარგებლოდ; აქ მოქმედობდა თავისუფალი და პატიოსნური ქველმოქმედება ეკლესიის წევრთა.

ეს მტკიცდება შემდეგითაც. პირველი ეკლესიის ისტორიიდან ვიცით, რომ ყოველი ახალი წევრი ეკლესიაში შესვლის შემდეგაც რჩებოდა იმავე წოდებაში, რომელშიაც იყო ნანამდე; ხოლო ქონებათა გაერთიანების დროს კი ეს შეუძლებელი გახდებოდა. საღვთო წერილში არსად არ არის მოხსენებული, რომ რომელსამე ეკლესიაში ყოფილიყოს ქონებათა თანასწორობა ძალით გამორთმევაზე დაფუძნებული; თვით იერუსალიმის ეკლესიაში წევრთა შორის მოიპოვებოდნენ საკუთრების პატრონნი, მაგ. მარკოზ მახარობელის დედას ჰქონდა სახლი, რომელშიაც ქრისტიანები სალოცავად იკრიბებოდნენ. (საქ. მოც. 12, 12). ამავე წიგნში (4, 37) მოთხრობილია. როგორც შესანიშნი და საქებური ამბავი, რომ ბარნაბამ მთელი თავისი ქონება შესწირა ეკლესიას. რა საჭირო იყო ქება ან განსაკუთრებითი მოხსენება ამ საქციელისა თუკი იერუსალიმის ეკლესიაში სავალდებულო იყო ქრისტიანეთა საზოგადოებაში შესვლისათანავე შეწირვა ქონებისა?

„ოდგელი მორწმუნენი იყვნეს ერთბამად და ექმნდა ყოველივე ზოგად". აზრი ამ სიტყვებისა შემდეგია, პირველ ქრისტიანეთა შორის ისე მტკიცე და ღრმა იყო ურთიერთშორის სიყვარულის გრძნობა, რომ არავინ მათგანი თავის ქონებას არა სთვლიდა თავის განსაკუთრებით კუთვნილად, არამედ მიაჩნდა ღვთისაგან მიცემულად მოყვასთა დასახმარებლად. იგივე აზრია გამოთქმული სიტყვებში: „არც ერთმან ვინ სთქა მოსაგები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად" (4, 32).

„დაბნებსა და მონაგებსა განყიდდეს მას ყოველთა, ვითარცა ვის რა ეხმდა". აქ არ არის ნათქვამი, რომ ქრისტიანები უთუოდ ყიდდნენ თავის ქონებას, არც ის, რომ აღებული ფული უნდა მიეცათ საზოგადოებისათვის და არც ის რომ ეს ფული უნაწილდებოდა ყველას. აქ ისაა ნათქვამი, რომ გაყიდულის ფული ეძლეოდა ღარიბებს საჭიროებისა დაგვარად ძმური სიყვარული იერუსალიმის ქრისტიანეთა შორის იმდენად ცხოველი იყო, რომ ძმათა საჭიროების გამო შეძლებულნი ყიდდენ თავის ქონებას და ახმარებდნენ ღარიბებს.

არ ამტკიცებენ ზემო განხილული ადგილები საქ. მოც. კომუნისტების აზრებს იერუსალიმელ ქრისტიანეთა ქონებრივ დამოკიდებულობის შესახებ.

საჭიროა განვიხილოთ კიდევ ორი ადგილი ახალი აღთქმიდან.

ა, „ერთიდ ეკელს შენ; ყოველი რაიცა გაქვს გაჰყიდე და მიეც ღარსაკთა და გაქვნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოგედ და შემომიდეგ მე" (ლუკ. 18, 22). ამ სიტყვებს მაცხოვრისას ყველა ღვთის-მეტყველნი ხსნიან, როგორც „რჩევას" ცალკე პირთათვის, რომელთაც ძალუძთ აღასრულონ უმაღლესი მოთხოვნილება თავგანწირვისა და მოწყალებისა; რომელი შემძლებელ არს დატევნად დაიტიენ. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ განმარტებას, რომელიც სამართლიანია, დავინახავთ, რომ აქ ერთი სიტყვაც არ არის იმაზე, ვითომც ქრისტეს შესადგომად საჭირო იყოს ძალდატანებითი გაყიდვა ქონებისა.

„გაჰყიდენით მონაგენი თქვენნი და მიეცეთ ქველის საქმე. და ჩუენგთ თავსა თქვენისა სიფასსე, რომელი არა დაძველდების და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა იგი მბარაი არა მიეუბების, არცა ბიდაბან გარეწნსა" (ლუკ. 12, 33). ამ სიტყვებში გამოხატულია იდეალური მოთხოვნილება უმაღლესი ზნეობითი სისრულისა ღვთის სასუფეველში. ამ სიტყვებით მაცხოვარი მოითხოვს შინაგანს, გულითადს მონაწილეობას კეთილ-მსახურებაში, მას სურს გამოიწვიოს ჩვენში

ლტოლვილება ზეცათა სასუფეველისადმი, რომელთანაც სულ უმნიშვნელია ყოველივე სხვა.—მაცხოვარს არ უბრძანებია, რომ მისს ეკლესიაში უნდა მოისპოს გარჩევა მდიდართა და ღარიბთა შორის განსაკუთრებით რაიმე ძალდატანების საშუალებით. პირიქით, იგი თვითონ სცნობს, რომ ქონებრივი გარჩევა ქვეყანაზე ყოველთვის იქნება: „გლახაკნი მარადის თქუენთანს არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენთანა ვარ (იოან. 12, 8).

ზემო წერილის შემდეგ, ქონებრივი დამოკიდებულება იერუსალიმის ეკლესიის წევრთა შორის წარმოვიდგება ამ სახით.— იესო ქრისტეს ქვეყანაზე ცხოვრების დროს მოციქულებს ჰქონდათ საზოგადო კასა, რომლიდანაც სარგებლობდნენ თვით ქრისტეც და მოციქულებიც; უეკველია აქედანვე სარგებლობდნენ მოციქულები მაცხოვრის ამაღლების შემდეგ სული წმიდის მოსვლამდე. სული წმიდის მოსვლის შემდეგ კი, როცა რიცხვი მორწმუნეთა გამრავლდა, საშუალებაც მათი საზრდოსი უნდა გადიდებულიყო, მით უმეტეს რომ ეკლესიის წევრთა შორის ღარიბებიც იყვნენ. აი სწორეთ ამ დროს, იესო ქრისტეს სიყვარულით აღძრულნი, მდიდარნი წევრნი იერუსალიმის ეკლესიისანი, ნაწილს თვისი ქონებისას სწირავდნენ მოძმეებს. რასაკვირველია უფრო მოციქულებს, როგორც ქრისტეს მქადაგებელს და ეკლესიის ხელმძღვანელებს შეფეროდათ შეწირულების მიღება და დარიგება საჭიროების დაგვარად. ამ სახით წარმოგვიდგება ჩვენ ქონებრივი დამოკიდებულობა იერუსალიმელ ქრისტიანეთა შორის. აქ სუფევდა სიყვარული, რომელიც იზიდავდა პოვნიერ წევრს თვისი ქონება გაჭირებულისთვის.

შორს არის კომუნიზმისგან ეს დამოკიდებულობა. აქ ღრმა სიყვარული მაცხოვრისა აწირვინებს მოძმეს ქვეყნიურ საუნჯეთა გაჭირვებულისთვის. იქ კი სიძულილი და შური მოძმის ქონებისა სიმართლის და თანასწორობის ქურქში გახვეული სცდილობს ძალით გაუთანასწოროს ცხოვრების საშუალება მშრომელს და მუქთა მჭამელს, უნიჭოს და ზარმაცს, მომჭირნეს და მფანტავს... ამისთანა თავისი სურვილის ასრულებისათვის ხმარობს ისეთ ღონეს და საშუალებას, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგია ქრისტეს სარწმუნოებისა და ზნეობისა... ხშირად კაცის სიკვდილიც საჭიროა ქონების დაპატრონებისთვის. წარმოიდგინეთ ამისთანა კაცები ამბობენ, რომ ჩვენ ვხელმძღვანელობთ პირველი საუკუნის მცხოვრებ ქრისტიანების ცხოვრებითო!?.

მახარობელი.

„სანამდი ეძინება საძღვდელოებას.“

ზოგიერთ მუსიკალურ ურთა საყურადღებოდ.

Замолкли вѣщіе органы,
Затихъ весеелый нашъ тимпанъ:
Напрасно намъ гласятъ тиралы:—
Воспойте пѣснь Сіонскихъ странъ...
Увы! неволи дни суровы
Органамъ жизни не даютъ:
Рабы, влачащіе оковы,
Высокихъ пѣсней не поютъ.

Ѳ. Глинка.

ამ დაბოლო ხანებში, როცა პრესსამ ცოტა თავისუფლება მიიღო, რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით საყვედურს, რომელიც სამღვდელოებისკენ არის მიმართული. თითქმის ყველა ერთხმად გაიძახის: „ჩვენი სამღვდელოება არაფრად ვარგა, საერთო საქმისათვის ხმას აღ იღებს, მას ღღევანდელი ცხოვრება არ აინტერესებს, მხოლოდ თავის კუჭს დაეძებს. საზოგადო საქმე, სწავლა-განათლება, ეკლესიის მართვა-გამგეობის უკეთეს ნიადაგზე დამყარება, კეთილი საქმის სათავეში ჩადგომა,—ერთის სიტყვით ცხოვრების წარმატება მას არ აინტერესებსო. ის ქმაყოფილია, თუ მაბათ-კვირას სწირა და ილოცა, თუ ცოტა რამ იშოვა ცოლ-შვილის გამოსაკვებად, კუჭის იქით არ მიდის მისი ინტერესები.“

მახსოვს, ამას წინეთ ერთ რუსულ გაზეთში მოყვანილი იყო სახუმარო და ირონიანი სავსე ამბავი, თუ ღღევანდელი მღვდელი როგორ აქრობს სინათლეს. ამ დაგვარ წერილებს სამღვდელოების წინააღმდეგ შესაფერისი პასუხი გასცეს როგორც რუსულმა, ისე ქართულმა პრესსამ, მაგრამ ნათქვამისა არ იყოს, ზოგი თხისკენ, ზოგი მგლისკენო, ამ გვარ საყვედურებში სიმართლეც ბევრია ნათქვამი. უბედურება ის კი არ არის, რომ ღღევანდელ სამღვდელოებას ბევრი ნაკლულევანება აქვს, არამედ უბედურება ის არის, რომ ამ ნაკლულევანებას სამღვდელოება კარგა დროის განმავლობაში თავიდან ვერ აიცილებს. მიზეზი ამ ნაკლულევანებისა თვით ცხოვრებაშია ჩაქსოვილი, სამღვდელოების უვარგისობის მიზეზი თვით საზოგადო ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ, სამღვდელოების კურნა-განახლება საზოგადოებიდან უნდა დაიწყოს და არა მარტო სამღვდელოების საყვედურებით, რომელიც მას, რასაკვირველია, ვერ გამოსცვლის, ვერ განკურნავს ღღევანდელ უძლურებიდან; ამ შემთხვევაში საჭიროა ისეთი დაკვირ-

ბა, როგორსაც იჩენს ექიმი ავადმყოფის ექიმობის დროს. კეთილ-გონიერი ექიმი პირდაპირ როდი შეუდგება რომელიმე სენის წამლობას, არამედ დაკვირვებით გამოიკვლევს ავადმყოფის მთელ აგებულებას და მხოლოდ იმ მიზეზის წინააღმდეგ იხმარს ზომებს, საიდანაც სენი გაჩენილა.

თუ ამ თვალით შევხედავთ დღევანდელი სამღვდელოების უკან ჩამორჩენას, იმ შემთხვევაში მიზეზი მისი დაუძლურებისა სულ სხვაგან აღმოჩნდება და არა მარტო მასში.

ამბობენ, სამღვდელოება ყოველ ენერგიას მოკლებულიაო, ის არც საზოგადო საქმეში სჩანს, არცა მწერლობაში იჩენს თავსო. ეს მართალია: ვერც ერთ თვალსაჩინო საქმეს ვერ დამისახელებთ, რომ სამღვდელოებას თავს ედოს და რიგიანად შესრულებინოს; სამღვდელოებას არც მწერლობაში შეუქმნია რამ სასახელო; ამ ასის წლის განმავლობაში ვერ შეხვდებით, გარდა ორი-სამი პირისა, რომ ვინმეს ღირს შესანიშნავი რამ დაეწეროს. და ეს სწორედ ასე უნდა მომხდარიყო; გასაკვირელი აქ არაფერია. განა საკვირველია, თუ რომელიმე მცენარემ, რომელსაც ძირი და გული გამოუთხარეს, რომელიც მოკლებულია მზის სხივებს, სუფთა ჰაერს, შესაფერის ნიადაგს, რაიმე ნაყოფი გამოიღოს? არა. და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ სამღვდელოება ალვის ხესავით ჩრდილის მეტს არას იძლევა. თუ [illegible]ითხავთ, სამღვდელოებას დღეს-დღეობით არც [illegible]ნათლის ანთება შეუძლია, არც ჩაქრობა, ის რაღაც უნაყოფო ხესა ჰგავს. რომელსაც, ნაყოფის გამოსაღებად, ეპივრება დამყნა, მოვლა, უხვად ნათელი და თავისუფლება.

ჩვენი აზრის დასამტკიცებლად საპირიოდ მიმაჩნია თვალი გადავავლოთ იმ პირობებს, იმ სწავლა-აღზრდას, რომელსაც სამღვდელო სემინარიელი სასწავლებელში იღებს. თუ შვილი მამასა ჰგავს, ჩვენი სამღვდელოება ხომ სემინარიის შვილია, მისი აღზრდელი, მისი გაზრდილი. მაშ გადავხედოთ ამ დაწესებულებას და ვნახოთ თუ როგორ მამაპას, როგორ მზრუნველობას იჩენს იგი მიბარებულ შვილებისადმი.

იმ გონებრივ დამონაებაში, რომელსაც დღეს სამღვდელოებას უსაყვედურებენ, სხვა მიზეზთა შორის, ჩვენის აზრით, უპირველესი ადგილი უჭერია სასულიერო სკოლას, აკადემიას და სემინარიას.

ვნახოთ რამდენად მართალია ეს მოსაზრება.

ყველას, ვინც სემინარიაში სწავლობდა, კარგად ემახსოვნება, თუ რას და როგორ ასწავლიდენ მას. აქ ასწავლიან როგორც საერო, ისე საღვთისმეტყველო საგნებს აკადემიელები. დავიწყოთ საერო საგნებიდან. აი როგორ ასწავლიდენ მათ. საერო საგნებს სემინარიაში არც სთვლიან საგნებად, მათ სულ მცირე ყურადღებას აქცევენ, და თუ არიან მოხსენებული სემინარიის პროგრამაში, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც შეცდომით კიდაცას ჩაუკერებია შიგ; ოღონდ გიარე, როგორმე შეისწავლე და, როგორიც იქნება ეს, საბოლოოდ სულ ერთია. გაკვეთილი ოღონდ დაიზეპირე, კარგად მიუგე მასწავლებელს და ეს უკანასკნელი არ დაეძებს, დარჩა შენში რამე თუ არა; მხოლოდ ეკიკაჭივით მოჰყევი, ფათავე გაკვეთილი და ნიშანს მიიღებ. საერო საგნების შესწავლა სემინარიაში მხოლოდ ამას შეიცავს. ავიღოთ მაგალითად ის სემინარია, სადაც მე მისწავლია. ოთხ საგანს: ლიტერატურას, ისტორიას, ფსიხოლოგიას და ლოღიკას, ერთი ყოვლად უნიჭო, ენა ჩავარდნილი, მშიშარა და გაუხსნელი კაცი გვასწავლიდა. შემოვიდოდა თუ არა გაკვეთილზე, ცალი ხელით ჟურნალს თავდაღმა დაჰკიდებდა, ცალი ხელისით. თითი კი კბილებში ეკავა, (ალბად რომ სული არ გაჰპაროდა), და დაიწყებდა კითხვას. მისი კითხვები კითხვებს არ გავდა. თუ ვინიცობა იყო, რომელიმე კითხვაზე პასუხს ვერ მიუგებდა მოწაფე, ცუდი ნიშანი მზად იყო, და არც იმედი უნდა გქონოდა მთელი წლის განმავლობაში მისის გადასწორებისა. რუსულ ლიტერატურის ისეთი მაგალითები, როგორიც არის „Слово о Полку Игоровѣ“, ლომონოსოვის და დერჟავინის ოდები სულ მეხლა-მეხლა ზეპირად უნდა გვცოდნოდა, უამისოდ რიგიან ნიშნის მიღება შეუძლებელი იყო. ხალისი, სწავლის ხალისი ურომლისოდაც მოწაფესთვის სწავლა ძლიერ ძნელია. ამ მასწავლებლის მეთხებით ჩვენ დაკარგული გვქონდა. ისტორია, რა თქმა უნდა, საინტერესო საგანია, მაგრამ ამ უზნგავსო მასწავლებელმა, რომელსაც უფრო შეეფერებოდა სადმე დაწესებულებაში მოხელეს ადგილი, ვიდრე მასწავლებლობა, ჭირივით შეგვაძულა ესეც. ისტორიის ცოდნა მისის შეხედულობით იმას შეიცავდა, რომ ზეპირად ჩამოგვეთვალა ეგვიპტისა, ასირიისა, საბერძნეთისა და რომის მეფეები, ქრონოლოგია ხომ ისტორიის სულს შეადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ასეთივე იყო ფსიხოლოგია და ლოღიკა ამ მასწავლებლის ხელში. ყველა ეს საგნები, მათი შესწავლა, მათი მასწავლებლის დანახვა მხოლოდ ზიზღსა, შიშსა და კანკალს იწვევდა მოწაფეებში; ყველა იმას სცდილობდა, რომ როგორმე რიგიანი ნიშანი მიეღო, რომ არ დარჩენილიყო, ხელმეორედ საღეჭად არ გახდომოდა ეს საგნები და სტიპენდია არ წაერთმიათ, თორემ გონების გახსნას, საგანზე საღი შეხედულების გამორკვევას, არც ერთი მოწაფე არ დაეძებდა; ეს შეუძლებელიც იყო რადგან ამ საგნების მნიშვნელობა თვით მასწავლებელსაც არ ესმოდა და მისი გადაცემა, მისი ტაკტიკა სიყვარულის ნაცვლად ხომ ხელს უწყობდა მოწაფეს სწავლა შეძულებოდა...

ასეთივე იყო ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი, თუ უარესი არა; არ ვიცი-კი, მათემატიკის ცოდნა უფრო ნაკლები ჰქონდა მას თუ სინიდისი. ამ ვაჟბატონს, როგორც ამბობდენ, ფიზიკა-მათემათიკური ფაკულტეტი პირველი სარისხის დიპლომით გაუთავებია და ცოდნა-კი მეხუთე კლასის გიმნაზიელისა არ ჰქონდა, იმდენი თავმოყვარეობაც კი არ შესწევდა, რომ მისაცემი გაკვეთილები მაინც შეესწავლა; კლასში მის გაკვეთილზე მოწაფეები ლაზღანდარობის მეტს არაფერს აკეთებდენ. ერთხელ, ფიზიკურ ცდის დროს, ისეთი აბსტრუკცია მოახდინა, რომ კინაღამ უბედურება დატრიალდა. ბევრმა შესწირა თავისი ტუჟურკა და ბლუზი; ხიფათს რო გადავრჩით, სიცილი დაიწყო, ეს ასე არ უნდა გვექნაო. მახსოვს, ერთჯერ გამოსაცდელად ერთმა მოწაფემ საბავშო გამოცანა მოიტანა კლასში, მოწაფეს გაეკეთებინა, და მასწავლებელს მისცა, ვერ გამოვიყვანეო. მასწავლებელმა სახლში წაიღო და მეორე დღეს ისევ უკან დააბრუნა, ეს გამოცანა არ გამოიყვანებაო. ასეთი იყო ეს მასწავლებელი და აბა წარმოიდგინეთ, რა სწავლის სურვილს აღძრავდა იგი თავის მოწაფეებში?..

როგორი იყო ქართული ენის შესწავლა? ვფიქრობ, ქართულ ენის საღმთო წერილის შემდეგ ჩვენს სემინარიებში პირველი ადგილი უნდა სჭეროდა, რადგან ეს ის ენაა, რომელზედაც მომავალ მღვდელს მოუხდება სამსახური ღვთისა და ხალხის წინაშე... საქართველოს ისტორია, როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო ძველი დროიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე, საქართველოს გეოგრაფია და ეტნოგრაფია, აი რა უნდა ყოფილიყო საგნად ქართულის ენისა მოწაფეთა გასაცნობად; ყოველივე ეს სისტემატიურად დაწყობილი, კარგად წარმოდგენილი მასწავლებლის მიერ უნდა ყოფილიყო ქართულის ენის საგნად ქართულ ლიტერატურის ისტორიასთან ერთად. ქართული ენა უნდა ყოფილიყო დედა ბოძი ჩვენს სემინარიებში, სწორედ ისე, როგორც ზოგიერთ რიგიანად მოწყობილ საერო სასწავლებლებში რუსული ენა არის დაყენებული, ან სხვა რომელიმე სპეციალურ საგნის შესწავლა. საქართველოს სემინარიებში, რომელთა მიზანი უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის კეთილგონიერ განათლებულ მოძღვრის მომზადება, ქართულ ენას თვალსაჩინო ადგილი უნდა სჭეროდა, მაგრამ იგი თითქმის სრულად გამორიცხულია სასწავლებლიდან, მისი ყოფნა არყოფნობას უფრო ჰგავს, მას არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული, და თუ არის მოხსენებული საგნებთა შორის მხოლოდ ფორმისათვის, საყვედურის ასაცდენად, ქართული ენა არ მოუსპიათო. აი ამიტომაც არის, რომ ქართული ენის შესწავლა ჩვენს სემინარიებში მხოლოდ ჟამნისა და დავითნის კითხვას არ აღემატება და ეს მაშინ, როცა ახალგაზდა მოსწავლეს სურს გაიგოს გარშემო ცხოვრება, იმ ერის წარსული, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. ჩემს დროს ყოველივე ამას მოწაფეებს უმალაკდენ, თითქო ქართველს წარსული არც საეკლესიო, არც სამოქალაქო ცხოვრება'ში არაფერი ჰქონდეს; ამის ნაცვლად მასწავლებელი მოწაფეს დავითნს აძლევდა ხელში და „მიწყალე ღმერთო"-ს აკითხვებდა, იმ „მიწყალეს", რომელიც მოწაფეს ასჯელ და ათასჯელ აქვს გაგონილი, ახსნილი და დაზეპირებული. რადგან ქართული ენა სავალდებულო საგნად არ იყო, ამიტომ თვით მასწავლებელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას, მასწავლებელიც (ესეც ქართველი) მხოლოდ ჟამნით, დავითნით და კუროთხევანით კმაყოფილდებოდა, მას საჭიროდ არ მიაჩნდა, მოკლედ, ნამალავად მაინც გაეცნო ჩვენთვის საქართველოს წარსული, შეეჩერებინა ჩვენი ყურადღება საქართველოს ეკლესიის ღირსეულ შვილებზე; მასწავლებელი, ასე წარმოიდგინეთ, არამცთუ თვით გვიხსნიდა, არამედ არც კი გვირჩევდა წაგვეკითხა რომელიმე ქართული წიგნი.*)

(გაგრძელება იქნება).

გან. ხან.

*) ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ავტორის მსჯელობა და ბრალი რომელსაც ისა სდებს მასწავლებელზე. სად არიან ჩვენში ესეთი მასწავლებელნი? განა ამაებმა და მათ მსგავსთა მასწავლებელთა ჩვენი ხალხის წარსული იციან?!.. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურის ძიება ისტორიისა.

შეუდარებელი, უებრო შურის ძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძარალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად და მის სწავლასაც ამოვფხვრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ, ალამაღლა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდემდე და ქრისტიანობა გარდაქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათნი კი გააკრა კაკობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ ესევე ცხადდება ჩვენს უნიჭიერესს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა **ბნელეთის ნაბიჯვრებისა.** უსულ-გულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავდნენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე. მაგრამ თავისისავე უგუნურის და წყეული თვალებით ირიღავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთ საზიზღარ მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ქკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო ამისადმი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მწათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატისა.

დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედ-მიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმიდა ქართულს ენას, მის მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ყოიკის სრულის ადამიანობისას. ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდით კიდედ მისი ქმნილებებისა, გავრცელება მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ვინ უნდა იკისროს ეს დიდი საქმე? სათავადაზნაურო ბანკმა და საქართველოს თავად-აზნაურობამ. მათ ის პენსია, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითი-წლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, **შეუგზავონ ევროპის საუკეთესო მხატვრებს მათი დასურათებაა,** ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მთელს საქართველოში მოჰფინონ.

ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელიგენტი, შემკული იშვიათის მხატვრობითი ნიჭით და ნამდვილი ბრძენი. ამიტომ იმის ქმნილებათა მოფენა დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულს აზროვნებას და სიტყვიერებას.

როცა ქართველი გლეხობა გაიცნობს ილიას ნაწერებს, გადაიკითხავს იმის „კაცია-ადამიანს“, „გლეხის ნაამბობს“, „კაკოს“ თავგადასავალს, იმის „მუშას“ და სხვა დემოკრატიულს ქმნილებას, იგი ცხადად დაინახავს, თუ რა დიდი მოციქული იყო ილია გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა. მაშინ ივლოვს იგი იმის სიკვდილს ბევრად უფრო მეტის მწუხარებით და ცრემლით, ვიდრე ეხლა გლოვობენ დაწინაურებულნი ნაწილნი ქართველი ერისა...

ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა...

ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შეუდგეთ დაოგნოს იმ საზოგადოებრივის სენისა, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი. ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელნი, თუ ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შეუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არ რჩება, ძლიერდება, ბრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

ი. გოგებაშვილი

(„ისარი“)

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲖᲐ“. „ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘ“. „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ“ e tutti guanti—ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲐᲧᲐᲧᲐᲜᲓᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲖᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲘᲔᲠᲘᲜᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲛᲓᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ. ᲠᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ? ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ? ᲠᲐᲛ ᲒᲘᲙᲑᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲐᲗ ᲐᲡᲔ? ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲔᲗ? ᲠᲐᲗᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ? ᲜᲣ-ᲗᲣ ᲘᲛᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲗ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲕᲔᲚᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲔᲒᲜᲔᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲣᲬᲝᲓᲔᲗ?! ᲐᲛᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲧᲝᲤᲗ ᲣᲐᲠᲡ?

ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲐᲒᲕᲔᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲕᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲔᲓᲔᲒᲜᲔᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲐ? ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲓᲒᲔᲕᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲡ ᲣᲐᲧᲝᲤᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲒᲐ ᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲜᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ?!.

ᲐᲠ ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐᲛ ᲐᲒᲐᲓᲔᲚᲕᲐᲗ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲗ? ᲗᲐᲜ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲘᲫᲐᲮᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲐᲒᲕᲔᲮᲡᲜᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲐᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ „ᲗᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲙᲐᲙᲕᲔᲗ“; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲰᲙᲐᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘ?.. ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲒᲔᲬᲣᲧᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ „ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲕᲔᲬᲣᲧᲘᲜᲐ“, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘᲗ? ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲘᲒᲘᲜᲐᲗ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲒᲜᲘᲗᲐᲗ, ᲠᲐᲡ ᲕᲜᲐᲜᲝᲑᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲜᲐᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲕᲗᲥᲕᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲐᲡ. ᲠᲝᲛ ᲣᲚᲘᲠᲘᲐ ᲒᲐᲛᲪᲜᲝᲜ ᲓᲐᲒᲕᲘᲗᲕᲔᲓ, ᲘᲛᲐᲡ ᲕᲜᲐᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲪᲝᲓᲔᲡᲘ ᲗᲐᲰᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲒᲐᲮᲩᲜᲘᲐᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲯᲝᲗ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲰᲒᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲓᲐᲡᲫᲠᲐᲕᲓᲐ; ᲐᲛᲐᲡ ᲕᲜᲐᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲗᲐᲗᲐ ᲮᲐᲠᲗ ᲐᲗᲘᲐ-ᲐᲗᲐᲡᲘᲡ ᲪᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲬᲐᲛᲝᲗ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ, ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲯᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲒᲠᲬᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲝᲮᲔᲚ ᲨᲔᲑᲓᲐᲚᲝᲗ. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲛᲐᲠᲗᲚᲝᲗ...

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲪ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐᲪ ᲒᲘᲛᲔᲝᲠᲗᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲝ ᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲔᲥᲪᲔᲕᲘᲗ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲗ: ᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ ᲠᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲓᲕᲘᲗᲗ, ᲐᲮᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲡᲐᲓᲐᲕᲗ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ: 1) ᲘᲚᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲐᲐ; 2) ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲝᲰᲙᲚᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲙᲘᲮᲐᲕᲐᲓ ᲘᲛ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲐᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲫᲠᲐᲛᲝᲑᲐ ᲣᲐᲖᲠᲝᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲔᲛᲡᲣᲠᲒᲔᲑᲘᲜ; 3) ᲗᲣ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲘᲐᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲐ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲖᲐᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐᲠᲘᲡ, ᲘᲛᲜᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲡ „ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ“ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲣᲜᲔᲠᲒᲐᲕᲓᲐ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲡ ᲩᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲕᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲘ. ᲔᲘ ᲡᲐᲓᲐᲛ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ. ᲐᲥ ᲬᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲐ, ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐ. ᲓᲐᲠᲓᲔᲕᲔᲕᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘᲡ ᲐᲣᲢᲔᲮᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲕᲔᲚᲔᲚᲐᲓ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲪ ᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲘᲔᲖᲘᲣᲘᲢᲣᲠᲘ ᲮᲠᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲔᲕᲨᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲰᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ, ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲥ ᲛᲝᲰᲠᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲔᲚᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲛᲪᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲝᲒᲠᲔᲑᲘ.

Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲗᲥᲛᲐ-ᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲐᲚᲘᲐᲥᲝᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲐᲮᲐᲚᲐ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ—ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ. ᲐᲡᲢᲔᲮᲐ ᲐᲚᲘᲐᲥᲝᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ. ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲠᲝᲛᲗᲐᲒᲐᲜᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲭᲘᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲮᲠᲘᲡᲘᲐᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲖᲔ, ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲕᲪᲜᲝ. ᲔᲡ ᲘᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ „ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ“, „ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲠᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲡᲬᲔᲤᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲜᲘᲜᲐ: ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲠᲓᲔᲜᲖᲔ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲗ ᲘᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲓᲔᲑᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲐ. ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲗ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ? ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲯᲝᲑᲐᲠᲘ, ᲕᲘᲜ ᲛᲣᲮᲐᲜᲐᲗᲘ, ᲕᲘᲜ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲕᲘᲜ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲣᲓᲐ! ᲓᲘᲐᲮ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲖᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲖᲐᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲡ ᲗᲕᲘᲗ „ᲓᲘᲡᲪᲘᲠᲚᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘ“ ᲛᲘᲩᲕᲔᲣᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲕᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲫᲐᲚᲐ-ᲣᲤᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲓᲔᲑᲘ! ᲔᲮᲚᲐ ᲜᲣᲠᲐᲕᲘᲜᲒ ᲨᲔᲫᲕᲠᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲝᲠᲝᲨᲘ, ᲜᲣᲚᲐᲠ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ, ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲙᲚᲐᲕ

ვიცრუო, ვიმტყუნო, ხალხს მოვაჩვენო თავი მეგობრად და მასთანვე ჩემი მუხანათური სული და გრძნობა ვათამაშო მისს სიმებზეო.

მართალია, თვით ჩვენს პაწია ცხოვრებაში პარტიათა და მის წევრთა შორის თავის-თავად ირკვეოდა პიროვნება ერთისაცა და მეორისაც, ხალხის მომტყუებელის და მის ერთგულებისაც, მაგრამ აბ შემთხვევამ უფრო აიჩქარა, უფრო გაამწვავა და აშკარად გამოაყოფინათ თავი ყველას.

ყველა მათგანი კი ჰგოდებს სტირის, მოსოქვამს და ჰგლოვობს, ხოლო ამ მოთქმა გლოვაშიაც ნათლად სჩანს მათი ნამდვილი სულიის ვითარება. შეიძლება ყველა ეს არა ერთი პარტიის სულის კვეთება არ იყოს და მხოლოდ მათი დემაგოგებისა, შეიძლება რეაქციამ ი

პროზით, ცილის წამებით და ისიც ისე აშკარად, რომ სინდისი არც კი მოჰგონებიათ. დამწამეს მე ის, რომ ილიას მკვლელს „ნაძირალებს“ ვეძახი. დიახ, ეს მართალია, მხოლოდ თვითონ მოწინააღ წერილში ამასვე იმეორებენ, მხოლოდ ჩემი დანაშაულობის თავი და ბოლო ის არის, რომ ვიდრე მათ „ზეკიდამ უბრძანებდნენ, მე გავბედე და გამოვსთქვი ჩემი აზრი! დამწამეს მე „ლალატი“. ვისი? ვილაცასთან მაბეზღებენ. რათა? რათა და არ დავემორჩილე „ზენაარსთა დემაგოგობას“ და არ გავჩუმდი, ვერ მოვითმინე და გამოვსთქვი ის, რაც გულში მედგა. დამწამეს მე „ქანქარისათვის“ (ფულისთვის) რწმენის ღალატი, სხვა ბანაკში გადასვლა, ე. ი. სხვა პარტიათა ორგანოებში მუშაობა. ჩემო ეშმაკო, თაგუნებო, რომელნიც ჩუმად. მაგრამ ტკბილად აკანტუნებთ სოროში სხვის კაკალს, რომელნიც თქვენს თავს „პარტიულს კაცებს“ ეძახით, თქვენთან არა მსურს მე წარმოვადგინო ჩემი ჯიბის ანგარიში, მით უმეტეს, რომ თქვენი უწმინდური ხელი იქიდან ვერას ამოიღებს. რაც შეეხება თქვენს სულის კვეთებას, რომ მე დამამციროთ, დამამდაბლოთ და ამისთვის არ ზოგავთ თქვენს უნდილს ნესტარს, ამისი ხომ სრულებით არ მეფიქრება. ეშმაკი თაგუნები სოროს ვერ გასცილდებიან.

დასასრულ, მინდა გასწავლოთ, რომ პოეტი (თუ იგი პოეტია და არა „რიფმაჩი“) არ ეკუთვნის არა თუ რომელსამე პარტიას, არამედ თვის ერსაც კი, მხოლოდ მე, როგორც მოქალაქეს, ნება მიბოძეთ ვიქონიო ჩემი აზრი. მე მირჩევნია „ულალატო“ „თაგუნებს“, ვიდრე ჩემს აზრს, ჩემს გრძნობას. ვერ გამტეხავს ვერც თქვენი მუქარა, ვერც თქვენი ბილწი ენა-ჭარტლიანობა. იმისთვის რომ, როგორც ამბობს ვიქტორ ჰიუგო:

გენთიადის წინ.

ხშირად ხდება, ხშირად ხდება ადრე გარეგნიდებისა,
სინათლეს ბნელი და მზეკვრობა მართალს ამარცხებს,
ხშირთა ჭქრება ქეყნენით კვალი პატიოსნების,
უსინდისობა სინდისს სცემს, ტალახში ორრეს!

—

აჭა, ცხოვრება ქეიფია, მსოფლიო ხარხარი.
დაჩდუნდა გრძნობა, გარეგნიდებას მიეცა სული,
აქ თამაშობენ, იქ სვამენ, ხმა ისმარი,
ძალინვს სინდისს, ძალინვს ურცხვად, კაკუდა გული!

პატიოსანი ხმა ჩაწყვეტა დამთვრალთ უაეინმ.
პატიოსანი აზრი ჩანოქა მათმა კეიდმა,
ურცხვს ეესი ეესზე ამეეურად გადაუდვა,
მოცოქული კი წმინდა აზრის ტალახში გდია!
მაგრამ იგი დრო—უსინდისო. ხანმოკლე არა,
მალე დაეკარგვს ეიმის სიეფლვს გდოვისა ზარი,
კაეიდის დამე, ბრბო, დამის ბრბო მაიფსტეტეს
და გაბრწეინდება დიდებული ხალხის ტესკარი!

(„ისარი“)

ილია ჭავჭავაკის

ჭრილობების შესახებ.

„ისარი“-ს მე-200 ნომერში ამბად აღწერილია ჭრილობანი ილია ჭავჭავაძისა- ჭრილობანი ისეთი არ იყო, როგორც ჩაუწერია ავტორს. ვვამი ილია ჭავჭავაძისა 2 გავსინჯე. ოქმი გამომძიებელს აქვს ტფილისში. იქიდანაც შეიძლება ცნობების ამოღება. ილია ჭავჭავაძეს ჭქონდა სამი ჭრილობა: ერთი ტყვიისაგან მკერდში და ორიც თავში თოფის კონდახისაგან ანუ კეტისაგან. ტყვია ჭქონდა მოხვედრილი მარჯვენა ძუძუს ახლოს და გასული იყო მარცხენა იღლიიდან. თავი ერთგან ჭქონდა გატეხილი, ხოლო მეორე ალაგას ჭრილობა ძვლამდი იყო დასული. მიცვალებულს პიჟაკი არ ეცვა, გალსტუხი ყელზე გახსნილი ჭქონდა, მარჯვენაზე წამოძრობილი ჭქონდა და ეკიდა პერანგის სახელოზე. შიგნით გულ-ბოყვში ტყვიას გაუვლია პირდაპირ გულში. შიგნეულების გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ილია ჭავჭვაძე სნეული ყოფილა. გული იყო გაქონებული და მისი მარცხენა კედელი ძრიელ გათხელებული, ფილტვებიც ზადიანი ჭქონდა. ხან-მოკლე იყო დღენი მისნი სიცოცხლისა. უგნურებმა მოჭკლეს ავადმყოფი, 70 წლის მოხუცი.

ილია ჭავჭავაძის მოსამსახურეს იაკობ ბიტარაშვილს ჭქონდა ორი ჭრილობა ტყვიისაგან და 21 საფანტისაგან. ტყვია, რომელიც იმის გვამიდან ამოვიღე, იყო რგვალი და იმ ზომისა, როგორსაც კაჟიან თოფისთვის ხმარობდნენ უწინ. ნახვრეტნი ტყვიისაგან ილიასა და ბიტარაშვილის სხეულზე ერთის ზომისაა დაახლოვებით. ამიტომ ეფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძე იმგვარის ტყვიისაგან არის მოკლული, როგორითაც იაკობი ბიტარაშვილი.

(„ისარი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ილია ჭავჭავაძის ანდერძი. განსვენებულს ილია ჭავჭავაძეს მთელი თვისი საცხოვრებელი უანდერძებია „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“ იმ პირობით, რომ განსვენებულის მეუღლემ თავის სიცოცხლეში ისარგებლოს ამ ქონებით. სხვათა შორის. განსვენებულს დარჩა ანდრეევის ქუჩაზე ერთ სართულიანი სახლი, დაახლოვებით 25,000 მანეთად ღირებული. 13 სექტემბერს საღამოთი საზოგადოების გამგეობამ თათბირი იქონია იმის შესახებ, თუ როგორ უპატრონოს ნაანდერძევ მამულს, რადგან განსვენებულ მგოსნის მეუღლე ამ ჟამად ავად არის. გამგეობამ დაადგინა: 1, დაევალოს განსაკუთრებით კომისიას (ნ. ცხვედაძე, ს. ფიცხალიავა, ს. კლდიაშვილი და ა. პ. სარაჯიშვილი) რკინის მოაჯირი გაუკეთოს განსვენებულ მგოსნის საფლავს და 2. შუამდგომლობა აღიძრას ეხლავე, ვიდრე ავადმყოფი გამრთელდებოდეს, აპეკუნი დაენიშნოს განსვენებულ მგოსნის ქონებას. („ისარი„)

ზემო აღნიშნულ სახლის გარდა ცოლის მზითევი და მამული ილია ჭავჭავაძისა მამა-პაპის სეულია და როგორ შეიძლება ანდერძით დატოვება თუ მონათესავენი ჰყავს განსვენებულს? ისიც საინტერესოა გამოცხადდეს თუ რამდენშია დაგირავებული ნაანდერძევი სახლი?..

*** სინოდს შეუტყობინებია სასულიერო სემინარიისთვის. განიხილეთ და შეგვატყობინეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელი და სასურველია ტფ. სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების სწავლა პირველ კლასიდანვე ქართულ ენაზეო.

*** ამ დღეებში თფილისში მოელოდნენ საქართველოს ექსარხოსს ნიკონს, მაგრამ პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინეს, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში დაბრუნდებაო.

*** რუსეთის ხაზინა თანდათან გადადის ქაღალდის ფულზე, რაც ცხადად ამტკიცებს სახელმწიფო ფინანსების უვარგისობასა და დაქვეითებას უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ქაღალდის ფულმა ასი მილიონით იმატა. ეხლა მთელ რუსეთში 1200 მილიონ მანეთის ქაღალდის ფული ტრიალებს.

*** ეს არის ეხლა ხანს გამოვიდა წესრიგი არჩევნებისა მომავალ საეკკლესიო კრებაზე, დრო ჯერ არ იყო დანიშნული, მაგრამ ყველა ერთხმად ამბობდა, რომ კრება ზამთრის პირზე დაიწყებაო. ეხლა რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ კრება გადაიდო მომავალ წლის გაზაფხულამდეო. მიზეზი ის არის, რომ 23 ეპარქიის სამღვდელოებამ წერილობით უარი განაცხადა მომავალ კრებაზე მონაწილეობის მიღებაზე, რადგან არჩევნები მეტად უხეიროაო. სინოდი ხელმეორედ შეუდგა საარჩევნო წეს-რიგის გადასინჯვას.

*** სინოდმა მთელი რუსეთის ეპისკოპოსებს შემდეგი შინაარსის საინტერესო ბრძანება გაუგზავნა: უკანასკნელ ხანებში, სინოდის სიტყვით, რუსეთში გაჩენილა სამღვდელოების საიდუმლო კავშირი, რომელსაც მიზნად დაუსახავს სამღვდელოების შეკავშირება ზოგიერთ საეკკლესიო წესის ამოსაფხვრელად. დრამისა და სხვაგვარ პირდაპირ გადასახადის მოსპობა და ჯამაგირის დანიშვნა სამღვდელოებისთვის და მტკიცედ დაცვა ჭეშმარიტ ქრისტიანულ იდეებისა. სინოდი აღიარებს, რომ ასეთი მიმართულება საზარალოა სარწმუნოებისთვის და სახიფათოა მართლმადიდებელ რუსეთისთვის და ატყობინებს ეპისკოპოსებს, რომ თუ იმათ თვალყური არ ადევნეს ასეთ მიმართულების სამღვდელოებას და არ სდევნეს მას, დასჯილ იქნებიან სასტიკად, ე. ი. მათ წაერთმევათ ხარისხი და სხვ.

*** დავა 20 მილიონ მარკის შესახებ რუსეთის მთავრობისა და ფინლიანდიის სეიმს შორის ამ დღეებში გათავდა, ფინლიანდიის სეიმმა მხოლოდ ორი ხმის უმეტესობით გადაწყვიტა მიეცეს რუსეთს ორი წლის ვალი — 20 მილ. მარკა.

*** 26 სექტემბერს კავკასიის ნამესტნიკი სანადიროთ გაემგზავრა განჯის გუბერნიაში. ნადირობას გამართავენ ქიურდამირსა და აჯიქაბულს შუა.

*** ზახარიანცისა, ფავლენიშვილისა და პეპლეს სპილენძის ქარხნების მუშებმა გადასწყვიტეს პროცესიონალურ კავშირის დაარსება. მუშებმა შეიმუშავეს პროექტი კავშირის წესდებისა. ახლო მომავალში განსაკუთრებული კომისია პროექტს განსახილველად წარუდგენს მუშებს. წესდების

პროექტი განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება საგუბერნიო მთავრობას.

*** 24 ენკენისთვეს, დილით, ოჩემჩირეს საფოსტო კანტორაში შევარდნილა 10 ავაზაკი, რომელთაც მუქარით გაუჩერებიათ იქ მყოფი ხალხი, კანტორის გამგესთვის კონდახებით უცემიათ, 4000 მანეთზე მეტი ამოუღიათ ყუთიდან და მიმალულან.

*** „ჩვენ გზას“ გურიიდან შემდეგს ამბავს ატყობინებენ: 18 ენკენისთვეს ოზურგეთში მღვდელმა იესე ინგოროყვამ თავი დაიწვა. შუადღისას მღვდელი სახლში მისულა, საბანზე, ბალიშზე, ტანზე და თავზე ნავთი გადაუსხამს, დაწოლილა და ცეცხლი მოუკიდებია. ამ დროს ქალი შევარდნილა ოთახში და დაუყვირნია, რასა შვრებიო. „ვერ ხედავ, დედაკაცო, რომ ცხოვრება არა ღირსო“,—მიუგია ცეცხლში გახვეულს მღვდელს და მალე დამწვარა. მიზეზი თავის დაწვისა ვერ გიგია.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად სინოდალურ კანტორის ხალინადარმა ცნობილმა არდაზიანმა ქართულ ეკკლესიის ფული გაფლანგა თითქმის 210,000 მან. ამის გამო მცხეთის საკათედრო ტაძრის განახლების საქმე შეჩერდა. ამ დღეებში სინოდისაგან კანტორას ამბავი მოუვიდა, რომ მცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხის გასაძლიერებლად გადაიდო 31000 მანეთიო. ტაძრის განმაახლებელ კომისიას საშუალება ეძლევა განაგრძოს მუშაობა ტაძრის შესაკეთებლად.

*** ამ ერთი თვის წინად ქეშმარიტის რუსთა პარტიის კრების დადგენილებით ხელმწიფესთან უნდა მისულიყო განსაკუთრებული დეპუტაცია. მას დაკალებული ჰქონდა ეთხოვა ხელმწიფისთვის, რომ მას ხელმეორედ დაემყარებინა თვითმპყრობელობა, არ გაეფართოვებინა ებრაელთა უფლებანი და სხ. სტოლიპინმა მოახერხა და დეპუტაცია არ მიაღებინა ხელმწიფეს. მიზეზი ის იყო, რომ დეპუტაციაში ერია განთქმული შანტაჟისტი დეზობრი, რომელიც რამდენჯერმე იყო გასამართლებული სხვა და სხვა სიყალბის გამო. ეს მარცხი მაშინ ქეშმარიტებმა მოინელეს, მაგრამ ეხლა ხელმეორედ აიშალნენ და ისევ თხოულობენ ხელმწიფის ნახვას. საგულისხმო ის არის, რომ დეპუტაციას რადაც არაჩვეულებრივი საიდუმლო საქმე აქვს, რომელსაც არავის ატყობინებენ, ახალ დეპუტაციაში ითვლება, სხვათა შორის, ცნობილი ხუცესი იოანნე კრონშტადელი.

*** მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოცხადდა უფლება სარწმუნოების გამოცვლისა, პროტესტანტთა ეკკლესიას შემატებია 40 ათასი, ყოფილი მართლმადიდებელი. კათოლიკეთა ეკკლესიას ამაზე გაცილებით მეტი მიემატა, ხოლო მართლმადიდებელ ეკკლესიას—ერთი მუჯა. ასე იცის ნაძალადევმა რწმენამ.

*** მთავრობამ იმოდენა უსვა თავზე ხელი ქეშმარიტ რუსებს, რომ მათს კადნიერებასასა და თავხედობას ეხლა თვითონვე ებრძვის. ბევრი იყო ამისთანა მაგალითი, მაგრამ მეტად საინტერესოა პურიშკევიჩისა და მოსკოვის გუბერნატორის ამბავი. პურიშკევიჩმა მოსკოვის გუბერნატორს წერილი მისწერა, რატომ არ დაამტკიცეთ კოლომენსკის სამოსწავლო საბჭოს წევრად ქეშმარიტი რუსი სკორნიაკიო. გუბერნატორმა მიუგო. რა თქვენი საქმეაო. პურიშკევიჩმა ამაზე ლანძღვა.გინების წერილი მისწერა და ხელმეორედ მოსთხოვა პასუხი. გაჯავრებულმა გუბერნატორმა პურიშკევიჩზე საჩივარი შეიტანა შეურაცხყოფისთვის. ამაზე ითქმის: რასაც დასთესა, იმას მოიმკიო.

*** ერთი კვირა მშვენიერი სიცხიანი დღეები არის მთელს ქუთაისის გუბერნიაში და გვიან დათესილი სიმიდები გამოკეთდა. ღვინის მოსავალი მშვენიერია, ყალბი ღვინოების კეთებამ ღვინის ფასები დასწია.

*** ბევრ ხალხს ასახლებენ რუსეთის ცივ გუბერნიებში სულ უბრალო მიზეზებით. საბედნიეროდ მაღალ მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ გადასახლებულ პირთა საქმე დაწვლილებით იქნეს გამოძიებული მაზრის უმფროსისაგან ან მისი თანაშემწისაგან და ყოველთვის მოხსენდეს უმაღლეს მთავრობას..

*** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე და მეოთხე კლასის შეგირდები დაითხოვეს, რადგან კლასში სიარული მოსპეს სამმართველოსგან სამი გამორიცხული შეგირდების უკანვე მიუღებლობისათვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

მერვე მცნება.

არა იპარო.

მერვე მცნება ღვთისა უკრძალავს ადამიანსა სხვის ქონების შეძენასა პარვით. ეს ბიწიერება არღვევს იმ წესსა ცხოვრებისასა, რომელზედაც არის დამოკიდებული კეთილ-მდგომარეობა ყოველი კერძო პირისა. ქურდი არის მალული მტერი, მსგავსი ეშმაკისა. ქურდი—ადამიინი ჰპარავს ადამიანსა მის ნივთიერ ქონებასა, მეტად ანუ ნაკლებ, აზარალებს თვისს მოყვასსა, ხოლო ეშმაკი ჰპარავს თვით ქურდსა და ყოველსა ბიწიერების მონასა სულიერ საუნჯესა, ჰპარავს მათ სარწმუნოებასა, რომელიც არის საფუძველი კეთილ-მსახურებისა. ხოლო ურწმუნო ადამიანი დგება ყოველ ბიწიერების გზაზე, სხვათა შორის ქურდობის გზაზედაცა. ურწმუნოება უკარგავს ადამიანსა ცხოვრების ჭეშმარიტ ცნობასა, თვით ადამიანის ცნობასაცა. უკარგავს იმ ცნობასა, რომ ადამიანი სულით ეკუთვნის ზეცასა, ხოლო სხეულით დედა-მიწასა, რომ აქაური ცხოვრება არის დროებითი, ხოლო ზეციერი არის საუკუნო. ამიტომ ადამიანი მოვალეა, რომ ამ ქვეყანაზე შეიძულოს ყოველი ბოროტება, ხოლო შეიყვაროს სარწმუნოება და კეთილმოქმედება, ამ გზით მოემზადოს ზეციერი ცხოვრებისთვის, რომელსაც უეჭველად უნდა მოელოდეს ყოველი ადამიანი, იმ შეგნებით, რომ მომავალი ცხოვრება არის მორწმუნესთვის ნეტარება, ხოლო ურწმუნოსთვის ტანჯვა. ეს ჭეშმარიტება ცხადად გამოხატა მაცხოვარმა შემდეგი იგავითა:

“რომელიმე კაცი იყო მდიდარი, იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა, ყოველ დღეს ლხინობდა ბრწყინვალედ. იყო აგრეთვე რომელიმე გლახაკი, სახელად ლაზარე, რომელიც დაწყლულებული იწვა მდიდრის სახლის ბჭესთან. იგი საზრდოობდა მდიდრის სუფრის ნამცეცებითა; ძაღლები მოდიოდნენ და ლოკავდნენ მის წყლულსა. მოკვდა გლახაკი და ანგელოზთა მიიყვანეს იგი წიაღსა აბრაამისასა. მოკვდა მდიდარიცა და დამარხეს იგი. მან, ჯოჯოხეთში ტანჯულმა, აიხედა ზევით, დაინახა შორით აბრაამი და მის წიაღზედ ლაზარე. შეჰღაღადა და სთქვა: „მამაო აბრაამ! შემიბრალე მე, გამოგზავნე ლაზარე, რომ მან დაასველოს თითი თვისი წყალში და გამიგრილოს მე ენა, რამეთუ მე ვიტანჯები ამ ალში.“ მაგრამ აბრაამმა უთხრა: „შვილო, მოიგონე, რომ შენ მიიღე კეთილი იმ სოფელში, ხოლო ლაზარემ მიიღო ბოროტი; დღეს იგი აქ ნუგეშობს, ხოლო შენ იტანჯები· გარდა ამისა ჩვენსა და თქვენ შორის დამკვიდრებულია დიდი უფსკრული, ისე, რომ აქედგან თქვენთან გარდმოსვლა მსურველთ არ შეუძლიანთ, აგრეთვე თქვენგნით ვერ გარდმოდიან.“ მაშინ მდიდარმა უთხრა; „გთხოვ შენ, მამაო, გაგზავნე იგი ჩემი მამის სახლში, იქ მე მყავს ხუთი ძმა, მან დაუმოწმოს მათ, რომ იგინიც არ მოვიდნენ ამ სატანჯველ ადგილსა.“ აბრაამმა მიუგო: „მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი, მათი ისმინონ.“ მდიდარმა უთხრა: „არა, მამაო აბრაამ, უკეთუ მკვდართაგანი მივა ვინმე მათთან, იგინი შეისმენენ.“ მაშინ აბრაამმა უთხრა მას: „უკეთუ მოსეს და წინასწარმეტყველებს არ გაუგონებენ, მკვდრეთითაც რომ ვინმე აღსდგეს, არ ირწმუნებენ.“

ეს იგავი წარმოუთქვა იესო ქრისტემ ურიათა—ფარისეველთა, რომელთაც ხელში ეჭირათ სჯული სარწმუნოებისა, მიცემული ღვთისაგან მოსეს და წინასწარმეტყველთა მიერ, მაგრამ გულგაქვავებულ ფარისეველთა არც მათი შეისმინეს, არც თვით ქრისტეს სწავლა მიიღეს, არც ირწმუნეს იგი მკვდრეთით აღდგომილი. ამასვე, ამ შეუსმენლობას, ამ ურწმუნოებას ვხედავ დღესაცა.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს მპარავსა სიტკბოება შრომისა, რომელიც ნამცნებია ღვთისაგან, გარწნილია იგი ზარმაცობითა და ქურდობის საშუალობით იძენს

92

პურსა არსობისასა. მწარეა ეს პური. უფრო მწარეა ალი იმ ცეცხლისა, რომელიც მოელის მას.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს მტაცებელსა, მახვილითა და ცეცხლით შეიარაღებულსა, რომ გარდა ამ წუთი სოფლისა, სადაც იგი ესოდენ თავხედობს და არღვევს ცხოვრების წესსა, არის ზენა სოფელიცა, სადაც ბოროტი მიიღებს ტანჯვასა, ხოლო კეთილი ნუგეშსა და სიხარულსა.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს ავაზაკსა, მძლავრობის ალით მოცულსა, რომ ის მახვილი, რომელსაც იგი ხმარობს ადამიანის სავნებელად, მასვე დაუბრუნდება თუ აქ არა, იმ სოფელსა, სახით სულიერი მახვილისა, რომელიც არის ცეცხლი ტანჯვისა.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს მდიდარსა, რომელიც იმოსება ოქრო-ვერცხლითა და ხავერდითა, სვამს, სჭამს და განისვენებს, არა რწამს მას, რომ იგი მოვალეა უწილადოს პური არსობისა, სამოსელი ტანისა უწონელ მოყვასსა, ანუგეშოს იგი, რომ თვითონაც მიიღოს ზეციერი ნუგეში.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს გლახაკსაცა, რომ თუ ხვედრი მისი სიგლახაკისა წარმოსდგება მისივე სიზარმაცითა და და არა რაისამე უძლურებითა და ამასთან უკეთუ იგი მოთმინებით და უსვედრელად არ აკისრებს სიგლახაკის ტვირთსა, მაშინ იგი ვერ იგემებს ლაზარეს ტვირთსა.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს მსაჯულსა, რომელიც სჯის უსამართლოდ, რომ იგიც ექვემდებარება ღვთის წინაშე სამართალსა, სადაც არ არის პირ-მოთნეობა.

არ ირწმუნებენ:

არა რწამს ვაჭარსა, სასწორიო ბოროტ-მხმარებელსა, რომ მისი საქმენიც აიწონებიან ოდესმე ღვთის მართლ-მსაჯულობის სასწორზე, სადაც გამოჩნდება მისი სიცრუე.

ارَ ირწმუნებენ:

არა რწამს შვების მოყვარესა, რომ ხორციელი ფუფუნება, რომელიც ავიწყებს სულსა, მიაგებს მას ხვედრსა ტანჯული მდიდრისასა.

მწარეა შედეგი ურწმუნოებისა და ყოველი ბიწიერებისა, ხილულისა თუ უხილავისა, მწარეა იგი ყველასათვის, დიდისა თუ მცირედისა, მდიდრისა თუ გლახაკისა...

ი ბალ ზეევი.

რედაქციის პასუხი.

მდ. მ. მარ—ვს როგორ უნდა იქცეოდეს სტატარო-სტა და რისთვის და რაზედ დახარჯოს ეკკლესიის ფული, ეს მათ ინ-სტრუქციაში ცხადათ სჩანს; ამისთვის მათზე განმარტების წერა არა ღირს.

მდ. მ. ია ზეიდს. „მწყემსი“-ს ჟურნალზე ხელის მოწერა შეიძლება წლით და ნახევარი წლით, ოთხი და სამი თვით ხელის მოწერა არ შეიძლება.

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: საქართველოს სამღვდელოების მიმართ, მდვ. იოანე ხატიაშვილის.—ახალი აღთქმის სამღთო წერილი და კომუნიზმი, მახარობელის.—„სანამდი ეძინება სამღვდელოებას, გან. გან.-ის.—შურის ძიება ისტორიისა, ი. გოგებაშვილისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—მტრებს და მეგობრებს.—ილია ჭავჭავაძის ჭრილობების შეახებ.—ახალი ამბები და შენიშვნები.—**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაზე საარქიეპისკოპოსოებასა და კეთილ-ზნეობაზე.** მორვე მცნება, ი. ბალუევის.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 სექტემბერი, 1907 წ.

ტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.